

GrCF2 W2 - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის გაგრძელება

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	52825
სექტორი:	მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა
შეტყობინების ტიპი:	სახელმწიფო
საბჭოზე გატანის თარიღი:	2021 წლის 22 ივნისი
სტატუსი:	მომზადებულია საბოლოო განხილვისათვის
პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი:	2021 წლის 15 ივნისი

პროექტის აღწერა

საქართველოსთვის გამოყოფილი 3.03 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი წარმოადგენს არსებული პროექტის GrCF - თბილისის მყარი ნარჩენები (შემდგომში „თავდაპირველი პროექტი“) დაფინანსების ზრდას. დამატებითი სესხიდან მიღებული თანხა გამოყენებული იქნება თბილისში ქალაქის ნაგავსაყრელზე ნაჟური წყლების-ლიჩეტის სისტემის უფრო ფართო განახლებისთვის, რომელიც თავდაპირველ პროექტში ჩართული კომპონენტია

პროექტი წარმოადგენს მწვანე ქალაქების მე-2 ჩარჩო პროექტის (GrCF2) ნაწილს და შემდგომ ინვესტიციას თბილისის „მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმიდან“ (GCAP). პროექტი შეესაბამება GCAP-ის მიერ იდენტიფიცირებულ საჭიროებას ქალაქის მყარი ნარჩენების სისტემის გაუმჯობესებისა. იგი ამცირებს ნაგავსაყრელის მიერ გარემოს დაბინძურებას და იყენებს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის საუკეთესო ტექნოლოგიას.

პროექტის მიზნები

პროექტის მიზანია მყარი ნარჩენების მართვის დონის ამაღლება და გარემოს დაცვის გაუმჯობესება ქალაქ თბილისში.

გარდაქმნის ეფექტი

პროექტი, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს „მწვანე“ გარდაქმნის ეფექტის პოპულარიზაციას ნარჩენების შეგროვების გაუმჯობესებით, რაც GCAP-ში განსაზღვრული ძირითადი გარემოსდაცვითი პრიორიტეტია. პროექტი გააუმჯობესებს მყარი ნარჩენების მართვას და შეამცირებს ნარჩენების შეგროვების უარყოფით გავლენას გარემოზე დაბალი ემისიის მქონე ავტომობილების შეძენისა და ნარჩენების შეგროვების მარშრუტების უკეთ დაგეგმვის გზით.

პროექტი ასევე ხელს შეუწყობს გარდაქმნის ეფექტის „კარგად მართული“ ხარისხის მიზანს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამისა (SPP) და მყარი ნარჩენების მუნიციპალური სტრატეგიის (MSWS) განხორციელებით, რომელიც შედის თავდაპირველ პროექტში და ინდეტიფიცირებულია ქალაქ თბილისის „მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმაში“.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველო

- მსესხებელი: საქართველო, წარმოდგენელი ფინანსთა სამინისტროს მიერ.
- მიმღები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
- განმახორციელებელი ორგანიზაცია: შპს თბილისერვის ჯგუფი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსების ჯამი

3,030,000.00 ევრო

პროექტის მთლიანი ღირებულება

3,030,000.00 ევრო

გარემოსდაცვითი და სოციალური ანალიზი

კატეგორია B (2019 წელს დამტკიცებული „გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის“ მიხედვით). თავდაპირველი პროექტის გაგრძელებას, რომლის მიზანია ლიჩეტის შეგროვებისა და დამუშავების სისტემის გათვალისწინებული მასშტაბის გაფართოება და მოცვის გაზრდა ორიდან ოთხ უჯრედამდე, დადებითი შედეგები ექნება. გამოვლენილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები გადაწყდება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელების საფუძველზე, რომელიც შეთანხმდა თავდაპირველი პროექტისთვის. როგორც პროექტის პირველი ათვისების წინაპირობა, კომპანიამ უნდა დაასრულოს ტექნიკური შესწავლა და დამტკიცოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA) შესწორებული ლიჩეტის სისტემის რეკონსტრუქციისთვის.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული შესწავლა ეკონომიკური დასაბუთების ფარგლებში (ESDD) ჩატარდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ 2018 წელს და მოიცავდა არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პრაქტიკისა და საქმიანობის ანალიზს, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელების სტატუსს და ასევე ახალ პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასებას, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოების და სოციალური მოთხოვნების მიმოხილვას, ნარჩენების მართვის ამჟამინდელი პრაქტიკას, ასევე თავდაპირველ პროექტთან დაკავშირებული გარემოსა და სოციალურ გავლენათა და სარგებელის ანალიზს. შეფასება მოიცავდა ზემოქმედების მიმოხილვას, რომელიც დაკავშირებულია ლიჩეტის შეგროვებასთან და დამუშავებასთან. ბანკმა მხარი დაუჭირა თავდაპირველი პროექტის განხორციელებას და დონორმა დააფინანსა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU). პროექტის ESDD, ლიჩეტის სისტემის კომპონენტი, მოიცავს კომპანიის წლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშის (AESR), ESAP-ის განხორციელების სტატუსის და PIU-ს კონსულტანტის ანგარიშების განხილვას. ESAP-ის განხორციელების სტატუსი დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული. ბანკი გააგრძელებს პროექტის განხორციელების მონიტორინგს AESR-ების შეფასების გზით.

ტექნიკური თანამშრომლობა

ხელმოწერის შემდეგ:

ტექნიკური შესწავლა. ლიხეტის მართვის სისტემის ტექნიკური და გარემოსდაცვითი შეფასება. დავალების სავარაუდო ღირებულება 75,000 ევროს შეადგენს, რომლის დაფინანსება საერთაშორისო დონორის ან EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდის (SSF) მიერ ხდება.

დამატებითი ღირებულება

- დაფინანსების სტრუქტურა: საქართველოში მუნიციპალიტეტებისა / კომუნალური კომპანიებისათვის გრძელვადიანი მუნიციპალური სესხის აღება შეზღუდულია. ადგილობრივ ბანკებს არ შეუძლიათ შესთავაზონ სესხები, რომელიც ინფრასტრუქტურული აქტივებისა და ეკონომიკურ ხანგრძლივობასთან შესაბამისობას დააკმაყოფილებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებს ეზღუდებათ სესხის აღება, რომელიც გარკვეულ ზღვარზე მეტია და რომელზეც არ აქვს გაცემული თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

- ცოდნა, ინოვაცია და შესაძლებლობების განვითარება: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მყარი ნარჩენების სექტორის ფართო ცოდნა და ხანგრძლივი ურთიერთობა (მათ შორის პოლიტიკის დიალოგი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან და შესაძლებლობა განახორციელოს „მწვანე“ დღის წესრიგის, მწვანე ქალაქების ჩარჩოს პროექტის მეშვეობით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მხარს უჭერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში.

- სტანდარტის განსაზღვრა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტი, გარდამავალი ეფექტი და გარემოზე ზემოქმედების პირობები გაცილებით მეტია, ვიდრე ამას კომერციული დაფინანსების წყაროები მოითხოვდნენ, მათ შორის შესყიდვების პროცედურები, აღრიცხვის გამჭვირვალობა, სექტორის რეფორმა და მწვანე ეკონომიკასთან მკაფიო კავშირი.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

დავით ბოდოკია dbodokia@gmail.com
www.tbsg.ge

საქართველო, თბილისი 0182, კახეთის გზატკეცილი N7

დაკავშირებული მასალა

ინფორმაცია ჩარჩო პროექტთან დაკავშირებით

<https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/50674.html>

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის შეფასებასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#)-ს:

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP-ი და PR-ი მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; ასევე შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხების წამოჭრის, საჩივრების მიღების და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვასა და სოციალური საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს

კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#)-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება კომპლექსური საიმედოობის კვლევა, რომლის მიზანია პროექტების განხორციელებისას პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკის თავიდან აცილება. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე, პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: compliance@ebrd.com. თითოეულ საკითხის შემთხვევაში OCCO-ი დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს.

IPAM-ი დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკასა](#) და [ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, რათა გაარკვიოთ, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განსახილველი მოთხოვნა [კონფიდენციალური ონლაინ ფორმის](#) საშუალებით, [ელ.ფოსტით \(email\)](#), [ფოსტით ან ტელეფონით](#). IPAM-ი მზად არის განიხილოს მოთხოვნების შეტანასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და პასუხის გასცეს ნებისმიერ კითხვას, [პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკასა](#) და [სახელმძღვანელოსთან](#) შესაბამისობაში. მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, განმცხადებელთა იდენტობების კონფიდენციალურობის დაცვა.